უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 37

2018 წ. "19" 04

ქ.თბილისი

,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1.	სადაზღვევო აგენტი (1)	მეოთხე	სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254	87	117	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 19 აპრილის №05 სხდომის ოქმის მე-11 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი